

2010 წელი

სასწავლო ცენტრი გილოცავთ შობა-ახალ წელს!

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი გისურვებთ მშვიდობიან, წარმატებულ და ბედნიერ შობა-ახალ წელს ! წარმოგიდგენთ 2010 წლის საქმიანობის ანგარიშს, სადაც ასახულია ყველა ის აქტივობა, რომელიც ამ წლის განმავლობაში განხორციელდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ.

[\(იხილეთ 2010 წლის ანგარიში\)](#)

30 დეკემბერი 2010

ტრენინგი პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ დასრულდა

სასწავლო ცენტრში დასრულდა ტრენინგი პრევენციის ეროვნული მექანიზმის სასწავლო პროგრამის მიხედვით. სასწავლო კურსი სასჯელაღსრულების სისტემის 62-მა თანამშრომელმა სამ ჯგუფად გაიარა. მონაწილეებს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცათ. ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის” პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

26 დეკემბერი 2010

ტრენინგი კომუნიკაციის უნარის განვითარების შესახებ დამთავრდა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასრულდა ტრენინგი პრობაციის სააგენტოს თანამშრომელთათვის. სწავლება კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესების სამდღიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით სისტემის 27-მა თანამშრომელმა ორ ჯგუფად გაიარა. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს ცენტრის დირექტორმა შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცა. ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “კანონის უზენაესობის ხელშეწყობის პროექტის” ფარგლებში მიმდინარეობდა, რომელსაც ავსტრიული კომპანია Human Dynamics ახორციელებს.

25 დეკემბერი 2010

პრევენციის ეროვნული მექანიზმის სასწავლო პროგრამა მიმდინარეობს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაიწყო ტრენინგი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სასწავლო პროგრამის მიხედვით. სწავლებას, რომელიც 26 დეკემბერს დასრულდება, სისტემის 73 თანამშრომელი სამ ჯგუფად გაივლის. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცემათ. ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის” პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

21 დეკემბერი 2010

ტრენინგი კომუნიკაციის უნარის განვითარების სფეროში მიმდინარეობს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაიწყო ტრენინგი პრობაციის სააგენტოს თანამშრომელთათვის. სწავლებას, რომელიც 25 დეკემბერს დასრულდება, კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესების სამდღიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით სისტემის 34 თანამშრომელი ორ ჯგუფად გაივლის. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცემათ. ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “კანონის უზენაესობის ხელშეწყობის პროექტის” ფარგლებში ხორციელდება, რომელსაც ავსტრიული კომპანია Human dynamics ახორციელებს.

20 დეკემბერი 2010

პატიმრობის კოდექსის პროგრამა №1 და №2 ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

დასრულდა პატიმრობის კოდექსის მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა №1 და №2 ჯგუფების ტრენინგი. სასწავლო პროცესის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება. კითხვარი შედეგობდა 50 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 35-ს.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

18 დეკემბერი 2010

ტრენინგები “პატიმრობის კოდექსთან” დაკავშირებით გრძელდება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში პატიმრობის ახალ კოდექსთან დაკავშირებით ტრენინგების ციკლი გრძელდება. ორდღიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადების კურსს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები 2 ჯგუფად გაივლიან. ტრენინგი 18 დეკემბერს დასრულდება და სწავლების პროცესში 60 თანამშრომელი გადამზადდება. სწავლების ბოლოს მონაწილეები გაივლიან ტესტირებას. მხოლოდ წარმატებული მსმენელები მიიღებენ მონაწილეობის სერტიფიკატს. ტრენინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის” პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

15 დეკემბერი 2010

სამუშაო ვიზიტით აშშ-ში

2010 წლის 4-12 დეკემბერს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა სამუშაო ვიზიტით ჯორჯიის შტატში, ქ. ატლანტაში იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლები. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ჯორჯიის შტატის სასჯელაღსრულების აკადემიის დათვალიერება, სასწავლო პროცესების განხორციელების ამერიკული გამოცდილების ადგილზე გაზიარება და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის საკითხების განსაზღვრა. ვიზიტის მსვლელობისას დელეგაციის წევრებმა მონაწილეს ჯორჯიის შტატის ათენს-კლარკის პოლიციის დეპარტამენტი, სარეაბილიტაციო ცენტრი, ათენს-კლარკის წინასწარი დაკავების დაწესებულება, ჯორჯიის შტატის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სასწავლო ცენტრი, ჯორჯიის საგამოძიებო ბიურო, კრიმინალისტური

ლაბორატორია და სასჯელაღსრულების აკადემია. სამუშაო ვიზიტი დასრულდა ჯორჯიის გუბერნატორთან შეხვედრით.

12 დეკემბერი 2010

პრობაციის თანამშრომლებმა ტრენინგები გაიარეს

დასრულდა ტრენინგი პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთათვის. სისტემის 125 თანამშრომელმა მონაწილეობა საოფისე და საბაზო კომპიუტერულ პროგრამებში 13 ჯგუფად გაიარა. სწავლების მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები სასწავლო ცენტრის სასწავლო ნაწილის უფროსმა მიხეილ ლურჯაიამ და ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელმა რენატა უინტროპმა გადასცეს. ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “კანონის უზენაესობის ხელშეწყობის პროექტის” ფარგლებში განხორციელდა, რომელსაც ავსტრიული კომპანია Human dynamics ახორციელებს.

12 დეკემბერი 2010

ტრენინგი მსჯავრდებულთა ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ტრენინგი დაიწყო. სამდღიან სასწავლო კურსს, რომელიც მსჯავრდებულთა ადმინისტრაციული პატიმრობის სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს, 75 თანამშრომელი სამ ჯგუფად გაივლის. სწავლების დასასრულს ტრენინგის მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცემათ. ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის” პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს და 15 დეკემბერს დასრულდება.

7 დეკემბერი 2010

შეხვედრა უნგრეთის საელჩოში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა საქართველოში უნგრეთის საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოდგილეს ბატონ ანდრამ ჰალაშსა და უნგრეთის საელჩოს პირველ მდივანს ბატონ ჟოლტ კოვაჩს შეხვდა. შეხვედრაზე, რომელიც უნგრეთის საელჩოში შედგა, ძირითადად ისაუბრეს 2011 წელს უნგრეთის ანალოგიურ სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობის გეგმების განხორციელების შესახებ. უნგრეთის საელჩომ სრული მზადყოფნა გამოთქვა ორ ცენტრს შორის პარტნიორული თანამშრომლობის დაწყებისა და განვითარების მხარდაჭერის საქმეში.

1 დეკემბერი 2010

იარაღის გამოყენების პროგრამის №17 ჯგუფის სერტიფიცირების შედეგები

ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების №17 ჯგუფის სერტიფიცირება. კითხვარი შედეგობდა 25 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 18-ს (70%).

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსი გრძელდება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამის მიხედვით სამდღიანი სასწავლო კურსი დაიწყო. სწავლებას, რომელიც 28 ნოემბერს დასრულდება, სასჯელაღსრულების სისტემის 30 თანამშრომელი გაივლის. მონაწილეებს დაურიგდათ მასალები მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს ჩაუტარდებათ ტესტირება, რომლის საფუძველზეც წარმატებულ მსმენელებს გადაეცემათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

26 ნოემბერი 2010

შეხვედრა ნორლაგში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ციხისა და პრობაციის ექსპერტებს სირი ბროკ-უტნესა და რუნე ფიელდს შეხვდა. შეხვედრაზე, რომელიც ნორლაგში გაიმართა, მხარეები მომავალი წლის ურთიერთთანამშრომლობის ძირითად პრიორიტეტებზე შეთანხმდნენ.

24 ნოემბერი 2010

ტრენინგები რეჟიმის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამის მიხედვით დასრულდა

დასრულდა სასჯელაღსრულების სისტემის რეჟიმის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამის მიხედვით №1 და №2 ჯგუფების ტრენინგი. მონაწილეთა შეფასება განხორციელდა სამკომპონენტო სისტემის მიხედვით, რაც ითვალისწინებს შეფასებას დასწრების, შუალედური გამოკითხვისა და ტესტირების შედეგების მიხედვით. 100 ქულიდან გამსვლელი ქულაა 75. იხ. შედეგები. ღონისძიება ხორციელდება საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

15 ნოემბერი 2010

კონკურსი კომპიუტერული პროგრამის შემუშავებაზე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში აცხადებს კონკურსს კომპიუტერული პროგრამის შემუშავებაზე. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, წარმოადგინოთ: ა) პროექტის წინადადება პროგრამის ფუნქციონირების დეტალური აღწერით; ბ) CV პროგრამების შემუშავებაში წარსული გამოცდილების აღწერით (ქართულ და ინგლისურ ენებზე). კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა წარმოადგინონ წინადადებები 1 დეკემბრამდე მისამართზე: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, რუსთავის გზატკეცილის მე-17



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი 5 წლისაა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 5 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო ღონისძიება და მიღება გაიმართა. შეხვედრა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ გახსნა. ღონისძიების ფარგლებში შედგა სასწავლო ცენტრის შესახებ ფილმის პრეზენტაცია. "სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი ხელს უწყობს სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის განხორციელებას, უზრუნველყოფს უწყებაში დასაქმებული საჯარო მოხელეების, პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას და რომ არა დონორი ორგანიზაციების ფინანსური და ინტელექტუალური მხარდაჭერა, სასწავლო ცენტრი დაარსებიდან 5 წლისთავზე ამ მიზნების მიღწევაში ასეთი წარმატებული ვერ იქნებოდა" - აღნიშნა ნატო გუგავამ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ შვედეთის განვითარების სააგენტოს (Sida) ოფისის ხელმძღვანელი ალფ ელიასონი, საფრანგეთის ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე, ევროსაბჭოს წარმომადგენელი საქართველოში ბორის ვოდსი, აშშ-ის ელჩის მოადგილე კენტ ლოგსდონი, ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ხელმძღვანელი ლარს კრისტიან-სუნდე, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კონსულტანტი კერი ნილი, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროკავშირის ატაშე ევა პასტრანა და სხვები. ღონისძიების დასასრულს სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ დონორ ორგანიზაციებს მადლობის სიგელები გადასცა.

8 ნოემბერი 2010

პრობაციის თანამშრომლები კომპიუტერულ პროგრამებს შეისწავლიან

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაიწყო პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთათვის ტრენინგი საოფისე და საბაზო კომპიუტერულ პროგრამებში. სამდღიან სასწავლო პროგრამას პრობაციის 120 თანამშრომელი 12 ჯგუფად გაივლის. ტრენინგი 11 დეკემბერს დასრულდება. ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული "კანონის უზენაესობის ხელშეწყობის პროექტის" ფარგლებში ხორციელდება, რომელსაც ავსტრიული კომპანია Human dynamics ახორციელებს.

5 ნოემბერი 2010

რეჟიმის სამსახურის თანამშრომლები ტრენინგებს გადიან

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის რეჟიმის სამსახურის თანამშრომელთათვის ტრენინგები დაიწყო, რომელიც ორ ჯგუფად წარიმართება. ღონისძიება სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ გახსნა.

სწავლება 78 საათიანი ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს და მას, როგორც სასწავლო ცენტრის ტრენინგები, ასევე უცხოელი ექსპერტები უძღვებიან. სწავლების პროცესის შეფასება სამსაფეხურიანი სისტემის მიხედვით განხორციელდება, რაც დასწრების, შუალედური გამოკითხვისა და ტესტირების შეფასებას მოიცავს. სერტიფიკატი გადაეცემათ ტრენინგის იმ მონაწილეებს, რომლებიც სამივე კომპონენტში 100 ქულიდან ჯამურად დააგროვებენ 75 ქულას. ტრენინგები, რომელშიც რეჟიმის სამსახურის 54 თანამშრომელი მონაწილეობს, ხორციელდება საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

2 ნოემბერი 2010

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთათვის ტრენინგები დასრულდა. სწავლების კურსი რისკისა და საჭიროებების შეფასებასა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ დაგეგმვას ეხებოდა. ტრენინგის მსვლელობისას სასწავლო კურსის მონაწილეებმა შესაბამისი კითხვარის მიხედვით რისკისა და საჭიროების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმის შემუშავების პრინციპები შეისწავლეს. 9 დღიანი სასწავლო კურსი სასჯელაღსრულების სისტემის 16-მა თანამშრომელმა გაიარა. გადამზადების კურსი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

[იხილეთ შედეგები](#)

31 ოქტომბერი 2010

ტრენინგი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლებმა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მომზადება გაიარეს. ორდღიანი სასწავლო კურსი ძალაში შესულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სიახლეებს ეხებოდა. ტრენინგი სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ გახსნა. სწავლებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი უძღვებოდა. ტრენინგს 28 მონაწილე დაესწრო.

23 ოქტომბერი 2010

მორიგი ტრენინგი რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის შესახებ

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან დაწესებულებებში მომუშავე თანამშრომელთათვის ტრენინგები გრძელდება. ამჯერად ტრენინგი რისკისა და საჭიროებების შეფასებასა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ დაგეგმვას ეხება. სასწავლო კურსის მონაწილეები ტრენინგის მსვლელობისას შესაბამისი კითხვარის მიხედვით რისკისა და საჭიროების შეფასებას განახორციელებენ და შეიმუშავებენ სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას. 9 დღიანი სასწავლო კურსი სასჯელაღსრულების სისტემის 19 თანამშრომელი გაივლის. ტრენინგი სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ გახსნა. ნატო გუგავას თქმით,

სამინისტროს მიზანია, თანამედროვე მიდგომების სფეროში მიღებულ სიახლეებს ყველა თანამშრომელი მომზადებული შეხვდეს. გადამზადების კურსი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ტარდება.

21 ოქტომბერი 2010

ტრენინგების სერია დასავლეთ საქართველოში დასრულდა

დასრულდა ტრენინგების სერია „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით, რომელიც ქუთაისისა და გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხორციელდებოდა. ორდღიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადების კურსი 203-მა თანამშრომელმა 7 ჯგუფად გაიარა. სერტიფიცირებისათვის საჭირო ბარიერი 187-მა თანამშრომელმა გადალახა. ღონისძიება ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული „დანის კავკასიის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

18 ოქტომბერი 2010

აშშ-ს დელეგაციის ვიზიტი სასწავლო ცენტრში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა აშშ-ს უსაფრთხოებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პროფესიული განვითარებისა და ტრენინგის სამსახურის დირექტორის თანაშემწეს, ჯინ ფარმერსა და საერთაშორისო ნარკოტიკული დანაშაულის ვაშინგტონის ბიუროს მრჩეველს, კენეთ ბრაზს შეხვდა. ნატო გუგავამ სტუმრებს გააცნო ცენტრის ხუთწლიანი მუშაობის შედეგები და მომავალი წლის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ესაუბრა. მხარეები სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე შეთანხმდნენ.

18 ოქტომბერი 2010

პატიმრობის კოდექსის პროგრამა №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15, №16 და №17 ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

დასრულდა პატიმრობის კოდექსის მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15, №16 და №17 ჯგუფების ტრენინგი. სასწავლო პროცესის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ პროექტის განხორციელების ფარგლებში. კითხვარი შედგებოდა 50 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 35-ს.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

18 ოქტომბერი 2010

ტრენინგი მსჯავრდებულთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ტრენინგი დაიწყო. სამდღიან სასწავლო კურსს, რომელიც მსჯავრდებულთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს, № 2 ჯგუფის 30 თანამშრომელი გაივლის. სწავლების დასასრულს ტრენინგის მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი

სერტიფიკატები გადაეცემათ. ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის” პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს.

11 ოქტომბერი 2010

ტრენინგები დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს

გრძელდება ტრენინგების სერია „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით. ამ ეტაპზე ტრენინგები ქუთაისისა და გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხორციელდება. სასწავლო პროცესი 17 ოქტომბრამდე გასტანს. ორდღიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადების კურსს ქუთაისისა და გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებების 210 თანამშრომელი 7 ჯგუფად გაივლის. ტრენინგის დასასრულს თანამშრომლები გაივლიან ტესტირებას და მხოლოდ წარმატებული მონაწილეები იქნებიან სერტიფიცირებული. ღონისძიება ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული “დანის კავკასიის პროგრამის” ფარგლებში ხორციელდება.

10 ოქტომბერი 2010

ფრანგი კოლეგების სტაჟირება საქართველოში დასრულდა

დღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მოეწყო შეხვედრა საფრანგეთის პენიტენციური ადმინისტრაციის ეროვნული სკოლის (ENAP) დირექტორთა მომზადების კურსის მსმენელებთან, ქ-ნ ელენ ჟუბერთან და ბ-ნ მიქაელ მერსისთან, რომლებიც ორი კვირის მანძილზე ეცნობოდნენ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის თავისებურებებს. შეხვედრას ესწრებოდნენ: სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე, საფრანგეთის ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე, სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ჭაკუა, ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები მარტინ კლაუკე და ევა პასტრანა და სხვა პირები. სტუმრები გაეცნენ სასწავლო ცენტრის საქმიანობის შედეგებს. შეხვედრის ბოლოს მინისტრმა კალმახელიძემ ელენ ჟუბერს და მიქაელ მერსის სასწავლო ცენტრში ორკვირიანი სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი საფრანგეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებების დირექტორებად დაინიშნებიან.

7 ოქტომბერი 2010

ტრენინგები “პატიმრობის კოდექსთან” დაკავშირებით გრძელდება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში პატიმრობის ახალ კოდექსთან დაკავშირებით ტრენინგების ციკლი გრძელდება. ორდღიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადების კურსს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები 20 ჯგუფად გაივლიან. ტრენინგი 15 ნოემბრამდე გასტანს და სწავლების პროცესში 600 თანამშრომელი გადამზადდება. ტრენინგი ევროკავშირის წარმომადგენელმა მარტინ კლაუკემ გახსნა. სწავლების ბოლოს მონაწილეები გაივლიან ტესტირებას. მხოლოდ წარმატებული მსმენელები მიიღებენ მონაწილეობის სერტიფიკატს. ტრენინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის” პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების დირექტორებმა ტრენინგი გაიარეს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ტრენინგები “პატიმრობის კოდექსთან” დაკავშირებით გრძელდება. ამჯერად, ერთდღიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით გადამზადების კურსი სასჯელაღსრულების დაწესებულებების თვრამეტივე დირექტორმა გაიარა. ღონისძიება სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ გახსნა. საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) წარმომადგენელი სარა ბროკ-უტნე დირექტორებს ნორვეგიული სასჯელაღსრულების სისტემის გამოცდილებაზე ესაუბრა. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ. გადამზადების კურსი NORLAG-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

2 ოქტომბერი 2010

ტრენინგი თემაზე: რისკისა და საჭიროებების შეფასება და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი დაიწყო. ტრენინგი სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ და ევროკავშირის პროექტის ექსპერტმა რაით ქუსემ გახსნეს. ტრენინგის მონაწილეები პრაქტიკულად განახორცილებენ კითხვარის მიხედვით რისკისა და საჭიროების შეფასებას და შეიმუშავენ სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას. ორდღიან სასწავლო კურსს, 2 ჯგუფად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს 42 თანამშრომელი გაივლის. სწავლების დასასრულს ტრენინგის მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცემათ. ტრენინგს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში ავსტრიულმა კომპანია "Human Dynamics" -ი ახორციელებს.

30 სექტემბერი 2010

სასწავლო ცენტრში ადგილობრივი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა ტრენინგი დაიწყო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა ტრენინგი დაიწყო. ხუთდღიან სასწავლო კურსს, რომელსაც სასწავლო ცენტრის ტრენერები უძღვებიან, კონკურსის წესით შერჩეული 10 თანამშრომელი გაივლის. სწავლების დასასრულს ტრენინგის მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცემათ. ტრენინგი, რომელიც ევროსაბჭოს ფინანსური დახმარებით ხორციელდება, მ/წლის 4 ოქტომბრამდე გასტანს.

29 სექტემბერი 2010

ტრენერთა ტრენინგი

კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ დასრულდა ოთხდღიანი სწავლება ტრენერთათვის, რომლებიც პრობაციის ოფიცრებს რისკის შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიას შეასწავლიან. პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლები გაეცნენ ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგიას, სალექციო პროგრამის სტრუქტურას და მისი

მომზადების თავისებურებებს. აგრეთვე აუდიტორიასთან ურთიერთობის სპეციფიკურ ნიუანსებს. პროგრამის გავლის შემდეგ, სწავლების მონაწილეებს სპეციალური სერთიფიკატები გადაეცათ. ღონისძიება ორგანიზებული იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – “კანონის უზენაესობის ხელშეწყობა საქართველოში” მიერ.

28 სექტემბერი 2010

ტრენინგი მსჯავრდებულთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ტრენინგი დაიწყო. სამდღიან სასწავლო კურსს, რომელიც მსჯავრდებულთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს, სისტემის 26 თანამშრომელი გაივლის. სწავლების დასასრულს ტრენინგის მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატები გადაეცემათ. ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის” პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს.

27 სექტემბერი 2010

ფრანგები სასწავლო ცენტრში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა საფრანგეთის სასჯელაღსრულების ეროვნულ სკოლის (ENAP) ციხის დირექტორთა მომზადების კურსის მსმენელებს, ქ-ნ ელენ ჟუბერსა და ბ-ნ მიშელ მერსის შეხვდა. ვიზიტი სასწავლო ცენტრსა და ენაპს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება და მიზნად ისახავს საფრანგეთის პენიტენციურ დაწესებულებათა მომავალი დირექტორების საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სტაჟირებას. სტუმრები საქართველოს ექვს სასჯელაღსრულების დაწესებულებას მოინახულებენ და ადგილზე გაეცნობიან ქართული პენიტენციური სისტემის თავისებურებებს. სასწავლო ცენტრში სტაჟირებაგავლილ დირექტორებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცემათ. სასწავლო ვიზიტი 8 ოქტომბრამდე გასტანს.

27 სექტემბერი 2010

ტრენინგი ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ორდღიანი სასწავლო პროგრამა 12-მა გამომიებელმა გაირა. ტრენინგის მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატები გადაეცემათ.

26 სექტემბერი 2010

სომხეთის სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენელთა ვიზიტი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამართლის ინსტიტუტის დირექტორს აშოტ ჰაირაპეტიაჩსა და ამავე ინსტიტუტის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დეპარტამენტის უფროსს გრიგორი მინასიანს შეხვდა. სტუმრებმა დაათვალიერეს

სასწავლო ცენტრის შენობა და გაეცნენ სასწავლო ცენტრის საქმიანობას. შეხვედრაზე სამომავლო პარტნიორული თანამშრომლობის თაობაზე ორივე მხრიდან მზადყოფნა გამოითქვა. ვიზიტი ორდღიანია, სტუმრები სასჯელაღსრულების დაწესებულებებსაც ეწვევიან და თბილისს 21 სექტემბერს დატოვებენ.

20 სექტემბერი 2010

ტრენინგი ინტერვიუებასა და კომუნიკაციის უნარის განვითარების საკითხებზე დასრულდა

სასწავლო ცენტრში, ინტერვიუებასა და კომუნიკაციის უნარის განვითარების საკითხებზე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა. მონაწილეები გაეცნენ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებებს, კონფლიქტური სიტუაციის პრევენციისა და დეესკალაციის ტაქტიკურ საშუალებებს, პირობით მსჯავრდებულებთან ურთიერთობისას დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ ასპექტებსა და ინტერვიუების წარმართვის ფორმებს. სასწავლო პროცესში მონაწილეობას იღებდა საჯარო კონკურსის წესით შერჩეული პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები. ტრენინგის ბოლოს სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ გიორგი არსოშვილმა და ევროკავშირის პროექტის წარმომადგენელმა ლალი ჩხეტიამ მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს. ტრენინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, ავსტრიულმა კომპანიამ "Human Dynamics" -მა განახორციელა.

19 სექტემბერი 2010

კონკურსი სახელმძღვანელოს შემუშავებაზე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში, აცხადებს კონკურსს სახელმძღვანელოს შესამუშავებლად თემაზე: “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციალური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები”. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა წარმოადგინონ წინადადებები 24 სექტემბრამდე მისამართზე: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, რუსთავის გზატკეცილის მე-17 კმ, გარდაბნის მუნიციპალიტეტი. ან ელექტრონული ვერსია გამოაგზავნონ მისამართზე: info@pptc.gov.ge

17 სექტემბერი 2010

კონკურსი სახელმძღვანელოს თარგმნაზე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში, აცხადებს კონკურსს სასჯელაღსრულების სფეროში სახელმძღვანელოს მოძიებასა და თარგმნაზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა წარმოადგინონ წინადადებები 24 სექტემბრამდე მისამართზე: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, რუსთავის გზატკეცილის მე-17 კმ, გარდაბნის მუნიციპალიტეტი. ან ელექტრონული ვერსია გამოაგზავნონ მისამართზე: info@pptc.gov.ge

პატიმრობის კოდექსის პროგრამა №11, №12, №13, №14, №15 და №16 ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

დასრულდა პატიმრობის კოდექსის მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა №11, №12, №13, №14, №15 და №16 ჯგუფების ტრენინგი. სასწავლო პროცესის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება. კითხვარი შედეგობა 50 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 35-ს.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

17 სექტემბერი 2010

ტრენინგი ინტერვიუებისა და კომუნიკაციის განვითარების საკითხებზე

სასწავლო ცენტრში ინტერვიუებისა და კომუნიკაციის უნარის განვითარების საკითხებზე ორდღიანი ტრენინგი დაიწყო. სასწავლო პროცესში მონაწილეობას საჯარო კონკურსის წესით შერჩეული პრობაციის ეროვნული სააგენტოს 17 ოფიცერი იღებს, რომელთაც წარმატებით გაირეს პრობაციის ოფიცერთა ძირითადი სასწავლო პროგრამა. სასწავლო პროცესს უძღვებიან მოწვეული ფსიქოლოგები ნინო ნიშნიანიძე და მარიკა ფანჯიკიძე. მონაწილეები გაეცნობიან ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციის თავისებურებებს, კონფლიქტური სიტუაციის პრევენციისა და დეესკალაციის ტაქტიკურ საშუალებებს, ინტერვიუების ეფექტურად წარმართვის ფორმებსა და კითხვების ტიპებს, რაც მათ პრაქტიკულ საქმიანობაში დაეხმარება. ტრენინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული "საქართველოში კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის" ფარგლებში მიმდინარეობს, რომელსაც ავსტრიულმა კომპანია "Human Dynamics" ახორციელებს.

17 სექტემბერი 2010

ტრენერთა ტრენინგი ფსიქიკური ჯანმრთელობის ინფორმირების შესახებ

დღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაიწყო ტრენერთა ტრენინგი "ინფორმირება ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ", რომელსაც სასწავლო ცენტრი და ფონდი "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში" ერთობლივად ახორციელებენ. ორდღიანი სწავლების მიზანია იმ ტრენერთა ჯგუფის მომზადება, რომლებიც შემდგომ ანალოგიურ ტრენინგს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს ჩაუტარებენ. ტრენინგი ორ ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე, ორდღიანი ტრენინგის ფარგლებში, მონაწილეები გაეცნობიან ტრენინგის მოოდულის შინაარსს. მეორე ეტაპი კი ოთხი თვის შემდეგ ჩატარდება.

17 სექტემბერი 2010

პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა

სასწავლო ცენტრში დასრულდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს 17 ოფიცრის ტრენინგი, რომელიც 42 საათიანი ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობდა. მონაწილეთა შეფასება განხორციელდა სამკომპონენტო სისტემით და მოიცავდა: დასწრების, შუალედური გამოკითხვის და ტესტირების შეფასებას. სასწავლო ცენტრის სერტიფიკატი გადაეცათ ტრენინგის იმ მონაწილეებს, რომლებიც სამივე კომპონენტში 100

ქულიდან ჯამურად მოაგროვეს 65 ქულა. სასწავლო პროცესი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“, ავსტრიული კომპანიის "Human Dynamics"- მხარდაჭერით განხორციელდა.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

16 სექტემბერი 2010

ტრენინგი სასწავლო ცენტრში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში პატიმრობის ახალ კოდექსთან დაკავშირებით ტრენინგები გრძელდება. ამჯერად, გადამზადების კურსს არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან დაწესებულებებში მომუშავე თანამშრომლები გაივლიან. 3 დღიან ტრენინგებში 6 ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას. გადამზადების კურსი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით ტარდება. სასწავლო ცენტრის დირექტორის ნატო გუგავას თქმით, სამინისტროს მიზანია, საკანონმდებლო სიახლეებს ყველა თანამშრომელი მომზადებული შეხვდეს. პატიმრობის ახალი კოდექსი 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება.

15 სექტემბერი 2010

აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელთა ვიზიტი

აშშ საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავი განყოფილების დირექტორი მარკ კამერონი, უფროსი მრჩეველი მაიკლ ტერნერი და პროგრამების მენეჯერი თინათინ მალრაძე სასწავლო ცენტრს ეწვივნენ. სტუმრებმა დაათვალიერეს სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციული ნაწილი, დასასვენებელი ოთახი, სპორტული კომპლექსი, სასწავლო აუდიტორიები, იმიტირებული საკანი, სადაც სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები ეცნობიან პატიმრებთან მუშაობის სპეციფიკას. შეხვედრაზე ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ ისაუბრა სასწავლო ცენტრის საქმიანობების ძირითად მიმართულებებზე, განხორციელებულ პროექტებსა და და იმ პრიორიტეტებზე, რომელშიც ცენტრი განსაკუთრებულად საჭიროებს დონორებისგან მხარდაჭერას. განისაზღვრა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის საკითხები.

14 სექტემბერი 2010

პატიმრობის კოდექსის პროგრამა №8 და №9 ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

დასრულდა პატიმრობის კოდექსის მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა №8 და №9 ჯგუფების ტრენინგი. სასწავლო პროცესის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება. კითხვარი შედეგობადა 50 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 35-ს.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

13 სექტემბერი 2010

საჯარო კონკურსის წესით შერჩეული პრობაციის ოფიცერთა ტრენინგი დაიწყო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში, დღეს, პრობაციის ოფიცერთა ტრენინგი დაიწყო. საბაზისო პროგრამის მიხედვით მომზადებას საჯარო კონკურსის

წესით შერჩეული 17 პრობაციის ოფიცერი გაივლის. ღონისძიება გახსნა სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გიორგი თვაურმა და ევროკავშირის პროექტის ექსპერტმა ლალი ჩხეტიამ. წავლება 42-საათიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს და მას სასწავლო ცენტრის ტრენერები წარუძღვებიან. მონაწილეთა შეფასება განხორციელდება სამკომპონენტო სისტემით და მოიცავს დასწრების, შუალედური გამოკითხვის და ტესტირების შედეგების შეფასებას. სასწავლო ცენტრის სერტიფიკატი გადაეცემათ ტრენინგის იმ მონაწილეებს, რომლებიც სამივე კომპონენტში 100 ქულიდან ჯამურად დააგროვებენ 65 ქულას. ტრენინგი მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" ფარგლებში და მას ავსტრიული კომპანია "Human Dynamics"-ი ახორციელებს.

9 სექტემბერი 2010

მინისტრის ვიზიტი სასწავლო ცენტრში



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე უწყების სასწავლო ცენტრს ეწვია. მინისტრი, ცენტრში მიმდინარე ტრენინგებს და გადამზადების კურსებს, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელ ჯეიმი მაკგოლდრიკთან ერთად გაეცნო. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ ჯეიმი მაკგოლდრიკს სამომავლო გეგმები გააცნო და UNDP-თან ახალი, ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები განიხილა. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ გაეროს განვითარების პროგრამა სასწავლო ცენტრს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდაში დაეხმარება. თავის მხრივ, UNDP-ის ხელმძღვანელმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მუშაობა და პენიტენციულ სისტემაში მიმდინარე ცვლილებები დადებითად შეაფასა.

8 სექტემბერი 2010

ტესტების შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი შეიქმნა

ტრენინგებში მონაწილეთა სერტიფიცირების გავლისათვის საგამოცდო ტესტების შემუშავების მიზნით სასწავლო ცენტრში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. ჯგუფის შემადგენლობაში შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები შედიან. საქმიანობა ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული "სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის" პროექტის ფარგლებში.

7 სექტემბერი 2010

ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით გრძელდება

ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით გრძელდება. 2 დღიან სასწავლო კურსს სასჯელაღსრულების დაწესებულების 60 თანამშრომელი ორ ჯგუფად გაივლის. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდებათ ტესტირება და იმ პირებს რომლებიც

წარმატებით გაივლიან ტესტირებას, გადაეცემათ სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატები. სასწავლო პროცესი 10 სექტემბრამდე გასტანს.

7 სექტემბერი 2010

ტრენინგი ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პატიმართან მოპყრობის საკითხებზე გრძელდება



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გრძელდება სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა ტრენინგი აგრესიულ და ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პატიმართან ძალის გამოყენების საკითხებზე. ორდღიანი სწავლება ითვალისწინებს ტრენინგს ფიზიკურ შებოჭვაში, რაც აგრესიული ან ფსიქიკურად გაუწონასწორებელი/აღზნებული პატიმრის შემთხვევაში გამოიყენება. ტრენინგს "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიისა" და სასწავლო ცენტრის მიერ ერთობლივ პროექტში გადამზადებული ტრენინგები უძღვებიან და მას სასჯელაღსრულების სისტემის 30 თანამშრომელი 2 ჯგუფად გაივლის. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცემათ.

7 სექტემბერი 2010

ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით გრძელდება

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს 68-ა თანამშრომელმა „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით ორდღიანი სასწავლო კურსი გაიარა. მონაწილეები გაეცნენ იმ სიახლეებს, რაც ახლადმიღებულ „პატიმრობის კოდექსს“ შემოაქვს სასჯელაღსრულების სისტემაში. ტრენინგის ბოლოს სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ მონაწილეებს სასწავლო ცენტრის სერტიფიკატები გადასცა.

4 სექტემბერი 2010

სამუშაო ჯგუფმა სასწავლო პროგრამებზე მუშაობა დაიწყო

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომლის ამოცანაა პროექტით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამების შემუშავება. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში სასწავლო ცენტრის ექსპერტები შედიან, რომელთაც ამგვარი საქმიანობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ. სამუშაო ჯგუფი რამდენიმე სხდომას გამართავს და საქმიანობას 3 კვირის ვადაში დაასრულებს.

30 აგვისტო 2010

გამოცა პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული

წიგნად გამოცა პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული. სახელმძღვანელოში შესულია არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), ევროპული კონვენცია პირობით მსჯავრდებულ ან პირობით გათავისუფლებულ სამართალდამრღვევთა ზედამხედველობის შესახებ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები და რეზოლუციები. კრებულის 100-მდე ეგზემპლარი საჩუქრად გადაეცა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკას. სასწავლო ცენტრის დირექტორის ნატო გუგავას განცხადებით, კრებულის გამოცემა მეტად მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ქართულ სამართლებრივ სივრცეში ევროპული

სტანდარტების პოპულარიზაციის თვალსაზრისით და საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა მნიშვნელოვნად დაეხმარება სასჯელის განმახორციელებელი ორგანოების თანამშრომლებს სწორად განსაზღვრონ სახელმწიფოს, საზოგადოების, ოჯახის როლი მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში. წიგნის გამოცემა მომზადდა და დაიბეჭდა ავსტრიული კომპანია "Human Dynamics" -ის მიერ, ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“.

10 აგვისტო 2010

ჯგუფმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე მუშაობა დაიწყო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით შემდეგ საკითხებს შეიმუშავებს: არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების აღწერილობებს, არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების დებულებაში ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ცვლილებათა პაკეტს, არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების სოციალურ მუშაკთა სასწავლო პროგრამას. სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF)-ს წარმომადგენლები და მოწვეული ექსპერტები. სამუშაო ჯგუფი პერიოდულად კვირაში ორჯერ შეიკრიბება. საქმიანობა ხორციელდება UNICEF-ისა და GCRT-ის ფინანსური მხარდაჭერით.

9 აგვისტო 2010

ტრენინგი ინტერვიუებასა და კომუნიკაციის უნარის განვითარების საკითხებზე დასრულდა

სასწავლო ცენტრში, ინტერვიუებასა და კომუნიკაციის უნარის განვითარების საკითხებზე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა. მონაწილეები გაეცნენ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებებს, კონფლიქტური სიტუაციის პრევენციისა და დეესკალაციის ტექნიკურ საშუალებებს, პირობით მსჯავრდებულებთან ურთიერთობისას დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ ასპექტებსა და ინტერვიუების წარმართვის ფორმებს. სასწავლო პროცესში მონაწილეობას იღებდა საჯარო კონკურსის წესით შერჩეული პრობაციის ეროვნული სააგენტოს 15 ოფიცერი და 9 სოციალური მუშაკი. ტრენინგის ბოლოს სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გიორგი თვაურმა და ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელის მოადგილემ მაია ჩოჩუამ მონაწილეებს სერთიფიკატები გადასცეს. ტრენინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, ავსტრიულმა კომპანიამ "Human Dynamics" -მა განახორციელა.

5 აგვისტო 2010

ტრენინგი ინტერვიუებასა და კომუნიკაციის განვითარების საკითხებზე

დღეს, სასწავლო ცენტრში, ინტერვიუებასა და კომუნიკაციის უნარის განვითარების საკითხებზე ორდღიანი ტრენინგი დაიწყო. სასწავლო პროცესში მონაწილეობას საჯარო კონკურსის წესით შერჩეული პრობაციის ეროვნული სააგენტოს 15 ოფიცერი და 9 სოციალური მუშაკი იღებს, რომელთაც წარმატებით გაირეს პრობაციის ოფიცერთა ძირითადი სასწავლო პროგრამა. სასწავლო პროცესს უძღვებიან მოწვეული ფსიქოლოგები

ნინო ნიშნიანიძე და მარია ფანჯიკიძე. მონაწილეები გაეცნობიან ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციის თავისებურებებს, კონფლიქტური სიტუაციის პრევენციისა და დეესკალაციის ტაქტიკურ საშუალებებს, ინტერვიუების ეფექტურად წარმართვის ფორმებსა და კითხვების ტიპებს, რაც მათ პრაქტიკულ საქმიანობაში დაეხმარება. ტრენინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“, ავსტრიულმა კომპანია "Human Dynamics" -ის მხარდაჭერით ხორციელდება.

4 აგვისტო 2010

პრობაციის ერუნული სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა

სასწავლო ცენტრში დასრულდა საჯარო კონკურსის წესით შერჩეული პრობაციის ეროვნული სააგენტოს 15 ოფიცრისა და 9 სოციალური მუშაკის ტრენინგი, რომელიც 42 საათიანი ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობდა. მონაწილეთა შეფასება განხორციელდა სამკომპონენტო სისტემით და მოიცავდა: დასწრების, შუალედური გამოკითხვის და ტესტირების შეფასებას. სასწავლო ცენტრის სერტიფიკატი გადაეცათ ტრენინგის იმ მონაწილეებს, რომლებიც სამივე კომპონენტში 100 ქულიდან ჯამურად მოაგროვეს 65 ქულა. სასწავლო პროცესი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“, ავსტრიულმა კომპანიის "Human Dynamics"- მხარდაჭერით განხორციელდა.


3 აგვისტო 2010

ვიზიტი გერმანიაში

დასრულდა სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში მომუშავე თანამშრომელთა ცხრაკაციანი ჯგუფის ვიზიტი გერმანიაში, ბადენ- ვურტემბერგის ფედერალურ მხარეში. დელეგაციის წევრებმა ვიზიტის ფარგლებში მოინახულეს სასჯელალსრულების დაწესებულებები, გაიზიარეს პრობაციის სამსახურის მუშაობის თავისებურებები და გაეცნენ სასჯელალსრულების სასწავლებელში არსებულ სასწავლო პროცესების მიმდინარეობას. ვიზიტის ფარგლებში განისაზღვრა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის საკითხები. ვიზიტი სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისა და გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

02 აგვისტო 2010

ტრენინგი საჯარო წესით შერჩეული პრობაციის ოფიცერთათვის და სოციალურ მუშაკთათვის დაიწყო



2010 წლის 27 ივლისს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაიწყო 9 დღიანი ტრენინგი საბაზისო პროგრამის მიხედვით საჯარო კონკურსის წესით შერჩეული 15 პრობაციის ოფიცრისა და 9 სოციალური მუშაკისათვის. ტრენინგი მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით.

პროექტს ახორციელებს ავსტრიული კომპანია "Hulla & Co. Human Dynamics KG". სწავლება მოიცავს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, ასევე საერთაშორისო

სტანდარტების გაცნობას და ფსიქოლოგიურ მომზადებას. ღონისძიება გახსნა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილემ გიორგი მაკასარაშვილმა. სწავლება მიმდინარეობს 42 საათიანი ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით და მას უძღვებიან სასწავლო ცენტრის ტრენერები. შეფასება განხორციელდება სამკომპონენტო სისტემით, რომელიც "ბოლონის პროცესის" პრინციპებს ეფუძნება და მოიცავს: დასწრების, შუალედური გამოკითხვის და ტესტირების შეფასებას. სერტიფიკატი გადაეცემათ ტრენინგის იმ მონაწილეებს, რომლებიც სამივე კომპონენტში 100 ქულიდან ჯამურად დააგროვებენ 65 ქულას.

27 ივლისი 2010

პრეზიდენტის ვიზიტი სამინისტროში



სამინისტროში ვიზიტისას, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს უწყებაში მიმდინარე რეფორმების, 2010 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოსა და სამომავლო გეგმების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. ხათუნა კალმახელიძემ ხაზი გაუსვა ისეთ მნიშვნელოვან პუნქტებს, როგორცაა მსჯავრდებულთა პირობების გაუმჯობესება, რაც გარდა ახალი დაწესებულებების ექსპლუატაციაში შესვლისა, პატიმართა რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის სხვადასხვა პროგრამებს ითვალისწინებს. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ დაინერგა მსჯავრდებულთა ოჯახებთან ურთიერთობისა და მათი დასაქმების პრაქტიკა. ხათუნა კალმახელიძის თქმით, მიმდინარე რეფორმების განხორციელების შედეგად პენიტენციური სისტემა დასავლურ სტანდარტებს საბოლოოდ გაუტოლდება. პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის მუშაობა, პრობაციონერთა რეაბილიტაციის კუთხით გატარებული რეფორმები, უფასო იურიდიულ სამსახურსა და პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე პროცესები. მიხეილ სააკაშვილმა გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და ღირსების ორდენებით დააჯილდოვა სამინისტროს ხუთი თანამშრომელი.

26 ივლისი 2010

საინფორმაციო ვიზიტით გერმანიაში

მიმდინარე წლის 26 ივლისიდან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისა და გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ერთობლივი პროექტის ფარგლებში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში მომუშავე თანამშრომელთა ცხრაკაციანი ჯგუფი გერმანიაში იმყოფება. დელეგაციას ხელმძღვანელობს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრის პირველი მოადგილე პაატა სულაბერიძე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა, ასევე ვიზიტით იმყოფებიან სასწავლო ცენტრისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლები. დელეგაციის წევრები საინფორმაციო ვიზიტის ფარგლებში მოინახულებენ ბადენ- ვურტემბერგის ფედერალური მხარის სასჯელაღსრულების დაწესებულებებს და გაეცნობიან ქ. შტუტგარტის სასჯელაღსრულების სასწავლებელში არსებული სწავლების პროცესსა და თავისებურებებს. ვიზიტი 30 ივლისს დასრულდება.

ტრენინგი ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პატიმართან მოპყრობის საკითხებზე

დღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაიწყო სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა ტრენინგი აგრესიულ და ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პატიმართან ძალის გამოყენების საკითხებზე. ორდღიანი სწავლება ითვალისწინებს ტრენინგს ფიზიკურ შეზღუდვაში, რაც აგრესიული ან ფსიქიკურად გაუწონასწორებელი/აღზნებული პატიმრის შემთხვევაში გამოიყენება. ტრენინგს "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიისა" და სასწავლო ცენტრის მიერ ერთობლივ პროექტში გადამზადებული ტრენინგები უძღვებიან და მასში სასჯელაღსრულების სისტემის 23 თანამშრომელი მონაწილეობს. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცემათ.

22 ივლისი 2010

პატიმრობის კოდექსის პროგრამა №5 და №6 ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

დასრულდა პატიმრობის კოდექსის მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა №5 და №6 ჯგუფების ტრენინგი. სასწავლო პროცესის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება. კითხვარი შედგებოდა 50 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 35-ს.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

22 ივლისი 2010

ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით გრძელდება

ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით გრძელდება. 2 დღიანი სასწავლო კურსს სასჯელაღსრულების დაწესებულების 60 თანამშრომელი ორ ჯგუფად გაივლის. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდებათ ტესტირება და იმ პირებს რომლებიც წარმატებით გაივლიან ტესტირებას, გადაეცემათ სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატები. სასწავლო პროცესი 23 ივლისამდე გასტანს.

20 ივლისი 2010

იარაღის გამოყენების პროგრამის №14, №15 და №16 ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების №14, №15 და №16 ჯგუფების სერტიფიცირება. კითხვარი შედგებოდა 25 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 18-ს (70%).

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

12 ივლისი 2010

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსის მეხუთე ეტაპი დაიწყო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსის მეხუთე ეტაპი (მე-14, მე-15 და მე-16 ჯგუფები) დაიწყო. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამას სასჯელაღსრულების სისტემის 60 თანამშრომელი სამ ჯგუფად გაივლის. მონაწილეებს გადაეცათ მასალები მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სწავლების დასრულების შემდეგ მათ ჩაუტარდება ტესტირება და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდას, გადაეცემათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

9 ივლისი 2010

შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელთან

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელს კერი ნილს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს ახალი საპროექტო წინადადების დაფინანსების საკითხები. შეთანხმდნენ, რომ გაეროს ბავშვთა ფონდი დააფინანსებს შემდეგ კომპონენტებს: ტრენინგები არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის პატიმრობის კოდექსის მიხედვით, ტრენინგები ახალ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით და სახელმძღვანელოს შემუშავება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებების შესახებ.

8 ივლისი 2010

ტრენინგი ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პატიმართან მოპყრობის საკითხებზე

დღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაიწყო რეჟიმის თანამშრომელთა ტრენინგი ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პატიმართან მოპყრობის საკითხებზე, რომელსაც სასწავლო ცენტრი და ფონდი "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში" ერთობლივად ახორციელებენ. ორდღიანი სწავლება ითვალისწინებს ტრენინგს ფიზიკურ შებოჭვაში, რაც აგრესიული ან ფსიქიკურად გაუწონასწორებელი/აღზნებული პატიმრის შემთხვევაში გამოიყენება. ტრენინგს ჰოლანდიელი ექსპერტები - ბატონები რიჩარდ ვან ასდოკი და თეო ლამერსი უძღვებიან. ტრენინგში მონაწილეობენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერები. ღონისძიება ევროდელეგაციის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიდინარეობს, რომელსაც ფონდი "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში" ახორციელებს.

5 ივლისი 2010

პატიმრობის კოდექსის პროგრამა №6, №7, №8, №9 და №10 ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

დასრულდა პატიმრობის კოდექსის მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა №6, №7, №8, №9 და №10 ჯგუფების ტრენინგი. სასწავლო პროცესის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება. კითხვარი შედეგობადა 50 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 35-ს.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა

დასრულდა სასჯელაღსრულების სისტემის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგი. სწავლება 90-საათიანი ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობდა. სწავლების პროცესის შეფასება „ბოლონის პროცესის“ პრინციპებზე დაფუძნებული სამკომპონენტური სისტემით განხორციელდა, რაც დასწრების, შუალედური გამოკითხვისა და ტესტირების შეფასებას მოიცავდა. სერტიფიკატი გადაეცათ ტრენინგის იმ მონაწილეებს, რომლებმაც სამივე კომპონენტში 100 ქულიდან ჯამურად დააგროვეს 65 ქულა და ზეპირ გამოცდაში მიიღეს 5-10-მდე ქულა. ტრენინგში უსაფრთხოების სამსახურის 20 თანამშრომელი მონაწილეობდა.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

28 ივნისი 2010

ტრენინგები "პატიმრობის კოდექსთან" დაკავშირებით გრძელდება

დაიწყო "პატიმრობის კოდექსის" მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადების მეორე ეტაპი. ღონისძიება სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ და საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩველთა მისიის (NORLAG) მოსამართლემ ანდერს ბარმა გახსნეს. სამდღიან სასწავლო კურსს 150 თანამშრომელი ხუთ ჯგუფად გაივლის. მომზადების ამ ეტაპზე ასევე დაგეგმილია სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების დირექტორის გადამზადება ერთდღიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდება ტესტირება და იმ პირებს რომლებიც წარმატებით გაივლიან ტესტირებას, გადაეცემათ სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატები. სასწავლო პროცესი 13 ივლისამდე გასტანს. სწავლება ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩველთა მისიის (NORLAG) ფინანსური დახმარებით ხორციელდება.

28 ივნისი 2010

ქსნის №7 დაწესებულებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებების თანამშრომელთა სერტიფიცირება დასრულდა

დასრულდა ორდღიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით ქსნის №7 დაწესებულებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების თანამშრომელთათვის. სწავლებას სასწავლო ცენტრის ტრენერები უძღვებოდნენ. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება. კითხვარი შედგებოდა 50 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 35-ს (70%). ღონისძიება საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური დახმარებით განხორციელდა.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

25 ივნისი 2010

ქუთაისის №2, გეგუთის №8, ხონი №9, ზუგდიდის №4, ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა სერტიფიცირების შედეგები

დასრულდა ორდღიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით ქუთაისის №2, გეგუთის №8, ხონი №9, ზუგდიდის №4 და ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის. სწავლება საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური დახმარებით განხორციელდა. ჩატარდა ტრენინგში მონაწილეთა ტესტირება. კითხვარი შედგებოდა 50 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 35-ს (70%).

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

21 ივნისი 2010

შეხვედრა ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) წარმომადგენლებთან

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) წარმომადგენლებს - ცირა ჭანტურიასა და მაია ხასიას შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები. გადაწყდა უვადო თავისუფლებაღკვეთილ პატიმრებთან მომუშავე თანამშრომელთათვის და რისკისა და საჭიროებების შეფასების თემატიკასთან დაკავშირებით ერთობლივი ღონიძირებების განხორციელება.

17 ივნისი 2010

ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით გრძელდება

ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით გრძელდება. 2 დღიანი სასწავლო კურსს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებისა და ქსნის №7 სასაჯელაღსრულების დაწესებულების 120 თანამშრომელი ოთხ ჯგუფად გაივლის. სასწავლო პროცესი, რომელსაც სასწავლო ცენტრის ტრენინგები უძღვებიან, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხორციელდება. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდებათ ტესტირება და იმ პირებს რომლებიც წარმატებით გაივლიან ტესტირებას, გადაეცემათ სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატები. სასწავლო პროცესი 24 ივნისამდე გასტანს. სწავლება საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური დახმარებით ხორციელდება.

17 ივნისი 2010

იარაღის გამოყენების პროგრამის XI, XII და XIII ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების XI, XII და XIII ჯგუფების სერტიფიცირება. კითხვარი შედგებოდა 25 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 18-ს (70%).

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

14 ივნისი 2010

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსის მეოთხე ეტაპი დაიწყო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსის მეოთხე ეტაპი დაიწყო. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამას სასჯელაღსრულების სისტემის 64 თანამშრომელი სამ ჯგუფად გაივლის. მონაწილეებს გადაეცათ მასალები მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სწავლების

დასრულების შემდეგ მათ ჩაუტარდება ტესტირება და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდას, გადაეცემათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

11 ივნისი 2010

უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება დაიწყო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთათვის ტრენინგი დაიწყო. ღონისძიება სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ გახსნა. სწავლება 90 საათიანი ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს და მას სასწავლო ცენტრის ტრენერები უძღვებიან. სწავლების პროცესის შეფასება ახალი სისტემის მიხედვით განხორციელდება, რაც "ბოლონიის პროცესის" პრინციპებს ეფუძნება და სამკომპონენტო სისტემას მოიცავს: დასწრების, შუალედური გამოკითხვის და ტესტირების შეფასებას. სერტიფიკატი გადაეცემათ ტრენინგის იმ მონაწილეებს, რომლებიც სამივე კომპონენტში 100 ქულიდან ჯამურად დააგროვებენ 65 ქულას და ზეპირ გამოცდაში მიიღებენ 5-10-მდე ქულას. ტრენინგში უსაფრთხოების სამსახურის 20 თანამშრომელი მონაწილეობს.

8 ივნისი 2010

ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით გრძელდება

ტრენინგები „პატიმრობის კოდექსთან“ დაკავშირებით გრძელდება. 2 დღიან სასწავლო კურსს ქუთაისის №2, გეგუთის №8, გეგუთის №9, ზუგდიდის №4, ბათუმის №3, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო და ქსნის №7 სასაჯელაღსრულების დაწესებულების 420 თანამშრომელი გაივლის. სასწავლო პროცესი, რომელსაც სასწავლო ცენტრის ტრენერები უძღვებიან, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხორციელდება. ტრენინგი, რომელიც ქუთაისის №2 საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში 5 ივნისს დაიწყო, სასწავლო ნაწილის უფროსმა მიხეილ ღურჯაიამ გახსნა. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდება ტესტირება და იმ პირებს რომლებიც წარმატებით გაივლიან ტესტირებას, გადაეცემათ სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატები. სასწავლო პროცესი 25 ივნისამდე გასტანს. სწავლება საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ). ფინანსური დახმარებით ხორციელდება.

5 ივნისი 2010

სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის უწყებათაშორისი კონფერენცია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს კონფერენციაზე სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით გაწეული მუშაობის ანგარიში გააცნო. საქმიანობის შედეგებზე საუბრისას ნატო გუგავამ ყურადღება გაამახვილა ისეთ პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორცაა ტრენინგების განხორციელება "პატიმრობის კოდექსის" მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის, პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მომზადებისათვის დაგეგმილ სასწავლო კურსებზე და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სამოქმედო გეგმით განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

პრეზენტაცია ევროკავშირის "კანონის უზენაესობის მხარდაჭერის" პროექტის ფარგლებში გაიმართა, რომელიც იუსტიციისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებთან თანამშრომლობით ხორციელდება.

25 მაისი 2010

ტრენინგები საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით გრძელდება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის სსიპ - „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა“, ერთობლივად, 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის სასჯელაღსრულების სისტემაში გახსნილი საარჩევნო უბნების მოწყობისა და კენჭისყრის დღისათვის მომზადების ხელშეწყობის მიზნით, განახორციელა ტრენინგი გლდანის #8 დაწესებულების ადმინისტრაციისათვის. ამ დაწესებულებაში წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს გადაეცათ სპეციალური ბუკლეტი მათი საარჩევნო უფლებების შესახებ, რომელიც გამოიცა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით. ღონისძიება გაგრძელდება და ჩატარდება 24 მაისს ქ. თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა #5 დაწესებულებაში, 26 და 27 მაისს - ქ. ბათუმის #4, ქ. ზუგდიდის #3 და ქ. ქუთაისის #2 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

22 მაისი 2010

გადამზადების პირველი ეტაპი დასრულდა

დასრულდა "პატიმრობის კოდექსის" მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადების პირველი ეტაპი. სამდღიანი სასწავლო კურსი 151-მა თანამშრომელმა ხუთ ჯგუფად გაიარა. სერტიფიცირება წარმატებით განვლო 114-მა თანამშრომელმა და მათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცათ. მეორე ეტაპის დაწყება ივლისის დასაწყისიდან იგეგმება, რომელსაც სისტემის 150 თანამშრომელი 5 ჯგუფად გაივლის. ასევე დაგეგმილია სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების დირექტორის გადამზადება ერთდღიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში. სწავლება ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ფინანსური დახმარებით ხორციელდება.

20 მაისი 2010

გამოიცა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისა და ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) მიერ განხორციელებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში ქართულ ენაზე გამოიცა "ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული". კრებულში შესულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილულ ხუთ საქმეზე გამოტანილი პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის" მე-3 მუხლთან დაკავშირებით, წამების აკრძალვა. წიგნის გამოცემა მომზადდა ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "წამების პრევენცია საქართველოში" ფარგლებში და

დაიბეჭდა საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

18 მაისი 2010

საკოორდინაციო სხდომა ევროკომისიის დელეგაციაში

ევროკომისიის დელეგაციაში დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით საკოორდინაციო სხდომა შედგა, რომელსაც ესწრებოდნენ: ნატო გუგავა, სასწავლო ცენტრის დირექტორი, ტარას ახალაია, სასწავლო ცენტრის მრჩეველი (დონორების მიმართულება), გიორგი ხოჯევანიშვილი, საჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, ევა სერგო, საფრანგეთის საელჩო, კერი ნილი და დავით ღვინერია, გაეროს ბავშვთა ფონდი, ზილკე კლოვერი, გერმანიის საელჩო, სარა ბროკ-უტნე, ნორლაგი, და ევა პასტრანა, ევროკომისიის დელეგაცია. შეხვედრის ძირითად საკითხს სასწავლო ცენტრის მიერ წარდგენილი "სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ქმედუნარიანობის განვითარების" პროექტის განხილვა წარმოადგენდა. დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნული პროექტის განხორციელებასა და გამოთქვეს პროექტთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი.

14 მაისი 2010

ტრენინგი საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით

დღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ და ცენტრალური საარჩევნო კომისიის სსიპ - „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“-ს დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა ერთობლივად გახსნეს ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობას სასჯელაღსრულების სისტემის იმ დაწესებულებების თანამშრომლები იღებენ, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების უზრუნველყოფისთვის, უნდა გაიხსნას საარჩევნო უბანი. მსმენელები მიიღებენ ინფორმაციას საარჩევნო პროცედურების სწორად ორგანიზებასთან დაკავშირებით. ტრენინგი 2010 წლის 11 მაისს დასრულდება.

10 მაისი 2010

პატიმრობის კოდექსის პროგრამა №1 №2 №3 №4 და №5 ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

დასრულდა პატიმრობის კოდექსის მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა №1 №2 №3 №4 და №5 ჯგუფების ტრენინგი. სასწავლო პროცესის ბოლოს მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება. კითხვარი შედეგობოდა 50 ტესტიგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 35-ს.

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

10 მაისი 2010

ტრენინგი “პატიმრობის კოდექსთან” დაკავშირებით დაიწყო

დღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაიწყო ტრენინგი “პატიმრობის კოდექსთან” დაკავშირებით. სასწავლო პროცესი სასჯელაღსრულების,

პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მინისტრის მოადგილემ ალან პარასტაევმა, საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ხელმძღვანელმა იონი სკოგსტადმა და სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ გახსნეს. სამდღიან სასწავლო კურსს სასწავლო ცენტრის ტრენერები უძღვებიან და მას სასჯელაღსრულების სისტემის 320 თანამშრომელი 10 ჯგუფად გაივლის. ტრენინგები ორ ეტაპად წარიმართება. პირველი ეტაპი 19 მაისს დასრულდება. მეორე ეტაპი 10 ივნისს დაიწყება და 24 ივნისამდე გასტანს. დაგეგმილია სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების დირექტორის გადამზადება ერთდღიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში. სწავლება ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ფინანსური დახმარებით ხორციელდება.

5 მაისი 2010

შეხვედრა "ფსიქიატრიის გლობალური ინიციატივის" წარმომადგენლებთან

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელობა, სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს დავით ასათიანთან ერთად, ორგანიზაცია "ფსიქიატრიის გლობალური ინიციატივის" წარმომადგენლებს ვენდი ვეიტსსა და თამარ ოკუჯავას შეხვდა. საუბარი ძირითადად შეეხო ციხის ფსიქიატრიის სფეროში ტრენერთა ტრენინგის ჩატარების საჭიროებას. ორივე მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა სასწავლო ცენტრში ტრენერთა ჯგუფის მომზადების თაობაზე, რომლებიც შეიმენენ ციხის ფსიქიატრიის სფეროში ტრენინგების ჩატარების უნარ-ჩვევებს.

4 მაისი 2010

იარაღის გამოყენების პროგრამის IX და X ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების IX და X ჯგუფების სერტიფიცირება. კითხვარი შედეგობდა 25 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 18-ს (70%).

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

3 მაისი 2010

შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლებთან

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პროგრამის ხელმძღვანელს აარონ გრინბერგსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის კონსულტანტს კერი ნილს შეხვდა. შეხვედრაზე, რომელიც სასწავლო ცენტრში შედგა, ძირითადად ისაუბრეს სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებების შესახებ. გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს ითანამშრომლონ სასწავლო ცენტრთან სამოქმედო გეგმისა და პატიმრობის კოდექსის მიხედვით თანამშრომელთა მომზადებაში. შეხვედრის ბოლოს სტუმრებმა დაათვალიერეს სასწავლო ცენტრის შენობა და კმაყოფილება გამოთქვეს ცენტრში არსებული რესურსების გამო.

30 აპრილი 2010

პატიმრობის კოდექსის მიხედვით, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მომზადება იწყება

დღეს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში, საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისი ხელმძღვანელმა იონი სკოგსტადმა და სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ახალი პატიმრობის კოდექსის მიხედვით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მომზადების დაფინანსებას. პროექტის ფარგლებში ტრენინგს ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში განლაგებული სასჯელაღსრულების დაწესებულებების 300 მოსამსახურე და ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი გაივლის. ღონისძიება 2 ეტაპად განხორციელდება, მ/ წლის 5 მაისს დაიწყება და ივნისის ბოლომდე გასტანს.

26 აპრილი 2010

იარაღის გამოყენების პროგრამის VII და VIII ჯგუფის სერტიფიცირების შედეგები

ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების VII ჯგუფის სერტიფიცირება. კითხვარი შედგებოდა 25 ტესტიგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 18-ს (70%).

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

26 აპრილი 2010

ტრენინგი სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის საკითხებზე

სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის საკითხებზე პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისაგან შემდგარ საპილოტე ჯგუფსა და სასწავლო ცენტრის 2 ტრენერს, სასტუმრო გუდაურში, სამდღიანი ტრენინგი ჩატარდა. ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის “კანონის უზენაესობის ხელშეწყობა საქართველოში” ეგიდით და “Human Dynamics”-ის ექსპერტების მხარდაჭერით მოწყობილ სასწავლო ღონისძიებაზე განიხილებოდა მსჯავრდებულთათვის რისკების განსაზღვრის კითხვარის ნიმუში. მონაწილეებმა ესტონელი ექსპერტების დახმარებით, ბალტიისპირეთში არსებული პრაქტიკის მიხედვით, შეადგინეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა. სწავლების ბოლოს მონაწილეებს სერტიფიკატები სასწავლო ცენტრის სასწავლო ნაწილის უფროსმა მიხეილ ღურწყაიამ და პროექტის ხელმძღვანელმა ანტი რუოთსალაინმა გადასცეს.

18 აპრილი 2010

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსის მესამე ეტაპი დაიწყო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსის მესამე ეტაპი დაიწყო. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამას სასჯელაღსრულების სისტემის 80 თანამშრომელი ოთხ ჯგუფად გაივლის. მონაწილეებს გადაეცათ მასალები მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სწავლების დასრულების შემდეგ მათ ჩატარდება ტესტირება და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდას, გადაეცემათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

16 აპრილი 2010

იარაღის გამოყენების პროგრამის V და VI ჯგუფის სერტიფიცირების შედეგები

ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების V და VI ჯგუფის სერტიფიცირება. კითხვარი შედგებოდა 25 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 18-ს (70%).

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

12 აპრილი 2010

გუდაურში ტრენერთა გადამზადება დაიწყო

დაბა გუდაურში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერებისათვის სამდღიანი ტრენინგი დაიწყო. ღონისძიება სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ გახსნა. ტრენინგში, რომელიც ტრენერთა თვითშეფასების სპეციფიკასა და მეთოდოლოგიას ეხება, სასწავლო ცენტრის 14 ტრენერი მონაწილეობს. ტრენერთა ტრენინგს უძღვებიან სასწავლო ცენტრის ტრენერი გივი მიქანაძე და საერთაშორისო ექსპერტები იოახიმ ვალტერი, კლაუს ბრაუზ-დილა და ტერესა თალჰამერი. ღონისძიება საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს და 31 მარტს დასრულდება.

29 მარტი 2010

ტრენინგი კომუნიკაციის განვითარებისა და ინტერვიუების ჩატარების თემაზე

პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომელთა კომუნიკაციის განვითარებისა და ინტერვიუების განხორციელების საკითხებზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სამდღიანი ტრენინგი დაიწყო. ლექტორებად მოწვეული ფსიქოლოგები ნინო ნიშნიანიძე და მარიკა ფანჯიკიძე პრობაციის ეროვნული სააგენტოს თბილისის, რუსთავისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ბიუროების 17 თანამშრომელს გააცნობენ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებებს, კონფლიქტური სიტუაციის პრევენციისა და დეესკალაციის ტაქტიკურ საშუალებებს, ინტერვიუების წარმართვას, აგრეთვე ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, რაც მონაწილეებს პრობაციონერებთან კომუნიკაციის უკეთ ჩამოყალიბებაში დაეხმარებათ და შესაბამისად, მათი რესოციალიზაციისათვის მიმართულ ღონისძიებებს უფრო ეფექტურს გახდის. ტრენინგი იმ ბიუროს თანამშრომელთა გადამზადებას მოიცავს, სადაც პილოტურად უნდა განხორციელდეს პრობაციონერთა რისკისა და საჭიროებების შეფასება. ტრენინგს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, ავსტრიული კომპანია "Human Dynamics" ანხორციელებს.

26 მარტი 2010

იარაღის გამოყენების პროგრამის IV ჯგუფის სერტიფიცირების შედეგები

ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების # IV ჯგუფის სერტიფიცირება. კითხვარი შედგებოდა 25 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 18-ს (70%).

[\(იხილეთ შედეგები\)](#)

21 მარტი 2010

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსის მეორე ეტაპი დაიწყო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსის მეორე

ეტაპი დაიწყო, რომელიც ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ გახსნა. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამას სასჯელაღსრულების სისტემის 60 თანამშრომელი სამ ჯგუფად გაივლის. მონაწილეებს გადაეცათ მასალები მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს ჩაუტარდება ტესტირება და მოსამსახურეებს, რომლებიც წარამტებით ჩააბარებენ გამოცდას, გადაეცემათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

19 მარტი 2010

შეხვედრა ნორლაგში

ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ოფისში გაიმართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: მისიის ხელმძღვანელი იონი სკოგსტადი, ციხისა და პრობაციის ექსპერტი სარა ბროკ-უტნე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის სასწავლო ნაწილის უფროსი მიხეილ ლურჯკაია, იურისტი დავით ნოზაძე, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე ანტონ ქელბაქიანი და ქალთა #5 საერთო საპრობილის რეჟიმის დაწესებულების დირექტორი მედიკო ალანია. შეიმუშავდა სამდღიანი ტრენინგ-პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის 300 თანამშრომლის მომზადებას ახალი პატიმრობის კოდექსის მიხედვით. მორიგი სამუშაო შეხვედრა მ/წლის 25 მარტს გაიმართება.

19 მარტი 2010

თანამშრომლობის შეთანხმება

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა ნატო გუგავამ და საფრანგეთის სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის ეროვნული სკოლის (ENAP) დირექტორმა ქალბატონმა ვალერი დელაკრუამ ხელი მოაწერეს 3 წლიან შეთანხმებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ხელმოწერის ცერემონიას მინისტრი ხათუნა კალმახელიძე და საფრანგეთის ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე დაესწრნენ. მემორანდუმი ორი ქვეყნის სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშრომლების მომზადებისა და გადამზადების პრობემებს განსაზღვრავს. შეთანხმება თითოეულ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობისა და წესების შესაბამისად, პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ ასპექტებში თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლას და კვლევებს ითვალისწინებს. მემორანდუმის გაფორმებამდე, ENAP-ის წარმომადგენლები სასწავლო ცენტრში, ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებაში იმყოფებოდნენ, ხელმოწერის შემდეგ კი გლდანის №8 საპრობილე მოინახულეს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ხათუნა კალმახელიძის თქმით, პენიტენციური სისტემის და უშუალოდ სამინისტროს ეფექტურობა დამოკიდებულია მომუშავე პერსონალის მაღალკვალიფიციურობაზე, რასაც დღეს გაფორმებული შეთანხმება შეუწყობს ხელს.

12 მარტი 2010

შეხვედრა ENAP - ის წარმომადგენლებთან

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნატო გუგავა საფრანგეთის სასჯელაღსრულების სასწავლო სკოლის (ENAP) დირექტორს ქალბატონ ვალერი დეკრუასა და ENAP-ის წარმომადგენელს ბატონ ჟოზეფ გომესს შეხვდა. სასწავლო ცენტრის დათვალიერების შემდეგ შეხვედრაზე ცენტრის დირექტორმა ფრანკ კოლეგებს გააცნო სასწავლო ცენტრის სტრუქტურა, მიზნები, ამოცანები, არსებული სასწავლო პროგრამები და სამომავლო გეგმები. განიხილეს მემორანდუმზე ხელმოწერის შემდგომ მხარეთა თანამშრომლობის საკითხები. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერა ხვალ შედგება.

11 მარტი 2010

ვიზიტი ესტონეთში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნატო გუგავა პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად სამუშაო ვიზიტით ესტონეთში იმყოფებოდა. ვიზიტი ორგანიზებული იყო ევროკავშირის პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც საკონსულტაციო კომპანია Human Dynamics-ი ახორციელებს. ესტონური გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხების გარკვევის მიზნით, ქალბატონი ნატო გუგავა ესტონეთის საჯარო სამსახურის აკადემიის დირექტორს ბატონ ჰანეს ლივაკს შეხვდა. სასწავლო ცენტრის დირექტორი გაეცნო ესტონეთის ანალოგიური სასწავლო დაწესებულების სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებს, ანაზღაურების სისტემასა და ასევე დაესწრო პრაქტიკულ მეცადინეობებს. ვიზიტი 7 მარტს დასრულდა.

7 მარტი 2010

იარაღის გამოყენების პროგრამის II და III ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების N II და III ჯგუფების სერტიფიცირება. კითხვარი შედგებოდა 25 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 18-ს (70%).

[\(იხილეთ # 2 და 3 ჯგუფების შედეგები\)](#)

7 მარტი 2010

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსს მე-3 ჯგუფი გაივლის

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამის მიხედვით სამდღიანი სასწავლო კურსი დაიწყო. სწავლებას, რომელიც 7 მარტს დასრულდება, სასჯელაღსრულების სისტემის საბადრაგო სამსახურის 20 თანამშრომელი გაივლის. მონაწილეებს დაურიგდათ მასალები მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს ჩაუტარდებათ ტესტირება, რომლის საფუძველზეც წარმატებულ მსმენელებს გადაეცემათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

5 მარტი 2010

იარაღის გამოყენების I და II ჯგუფების სერტიფიცირების შედეგები

ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების N I და II ჯგუფების სერტიფიცირება. კითხვარი შედგებოდა 25 ტესტისგან, საიდანაც გამსვლელი ქულა შეადგენდა 18-ს (70%).

შეხვედრა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდთან (IRZ)

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნატო გუგავა საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) პროექტების მენეჯერს ქალბატონ ბრიტა შვარცსა და ფონდის კოორდინატორს საქართველოში ბატონ სულხან გამყრელიძეს შეხვდა. მხარეებმა ისაუბრეს 2010 წელს განსახორციელებელ გეგმებზე. მიღწეულია პრინციპული შეთანხმება სასწავლო ცენტრის საქმიანობის მთელი რიგი სფეროების, მათ შორის, ტრენინგების, გერმანიის ანალოგიურ სასწავლო ცენტრთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების, სასწავლო ვიზიტებისა და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსების შესახებ. საუბარი ასევე ეხებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამის სტრუქტურებსა და სასწავლო ცენტრს შორის პარტნიორული თანამშრომლობის დაწყებას ამ ქვეყნებში ანალოგიური სასწავლო ცენტრის დაარსებისა და ტრენინგთა მომზადების საკითხებთან დაკავშირებით.

26 თებერვალი 2010

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსები გრძელდება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის სამდღიანი სასწავლო კურსი დაიწყო, რომელიც სასწავლო ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა ნატო გუგავამ გახსნა. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამის მიხედვით სწავლება პირველ ჯგუფად სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს 20-მა თანამშრომელმა გაიარა. ამჟამად ტრენინგს მეორე და მესამე ჯგუფში სასჯელაღსრულების სისტემის 41 თანამშრომელი გაივლის. მონაწილეებს გადაეცათ მასალები მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს ჩაუტარდება ტესტირება. მხოლოდ წარმატებულ მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

26 თებერვალი 2010

შეხვედრა პოლონეთის საელჩოში

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი გიორგი ხოჯევანიშვილი და სასწავლო ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნატო გუგავა საქართველოში პოლონეთის საელჩოს განვითარების დახმარების მდივანს ბატონ ლეხ კონჩაკს შეხვდნენ. შეხვედრაზე, რომელიც პოლონეთის საელჩოში შედგა, ძირითადად საუბარი ეხებოდა 2010 წელს ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს. პოლონეთის საელჩომ მზადყოფნა გამოთქვა სასწავლო ცენტრისათვის პრიორიტეტულ თემებზე ექსპერტების მოწვევისა და პოლონეთის სისტემის გამოცდილების გაზიარების მიზნით სასწავლო ვიზიტის განხორციელების მხარდაჭერაზე.

23 თებერვალი 2010

სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს დელეგაცია 6 დღიანი სამუშაო ვიზიტით აშშ-ში იმყოფება. უწყების 5 წევრიანი დელეგაცია, ვაშინგტონსა და მერილენდში, I.N.L. პროგრამის მიწვევით

გამეზავრა. ვიზიტისას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს წარმომადგენლები შესაბამისი სტრუქტურის ამერიკულ სტანდარტებს და გამოცდილებას ადგილზე გაეცნობიან. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: მინისტრის პირველი მოადგილე პაატა სულაბერიძე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი თეიმურაზ იობიძე, სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ირაკლი კობიძე და ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის მდივანი გაგა მკურნალიძე.

15 თებერვალი 2010

შეხვედრა საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანულ ფონდში (IRZ)

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნატო გუგავა საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) წარმომადგენელს ბატონ სულხან გამყრელიძესა და ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) წარმომადგენელს ბატონ სიმონ პაპუაშვილს შეხვდა. საუბარი ეხებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამის სტრუქტურებსა და სასწავლო ცენტრს შორის პარტნიორული თანამშრომლობის დაწყებას ამ ქვეყნებში ანალოგიური სასწავლო ცენტრის დაარსებისა და ტრენერთა მომზადების საკითხებთან დაკავშირებით. ნატო გუგავამ მზადყოფნა გამოთქვა, სასწავლო ცენტრმა მჭიდროდ ითანამშრომლოს გერმანულს ფონდსა (IRZ) და ციხის საერთაშორისო რეფორმასთან (PRI) ამ მიმართულებით.

10 თებერვალი 2010

პრობაციის სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში პრობაციის სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ. დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით გამართულ შეხვედრაზე შეფასება მიეცა პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებს და დაიგეგმა შემდგომი ქმედებები. სასწავლო ცენტრის დირექტორის ინფორმაციით, სასწავლო ცენტრი აქტიურად ითანამშრომლებს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს სისტემის რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელ ტრენინგებთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის მომდევნო სხდომა თებერვლის ბოლოს გაიმართება.

4 თებერვალი 2010

სამუშაო ჯგუფმა სასწავლო პროგრამების განახლებაზე მუშაობა დაიწყო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გერმანიის სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთათვის ახალ სასწავლო პროგრამებს შეიმუშავებს და მოქმედ პროგრამებს განახლებს. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები, ტრენერები, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლები, ქართველი და უცხოელი ექსპერტები. სამუშაო ჯგუფი პერიოდულად კვირაში ორჯერ შეიკრიბება და სავარაუდოდ საქმიანობას მარტის ბოლომდე დაასრულებს.

შეხვედრა ნორლაგში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნატო გუგავა ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ხელმძღვანელს ბატონ იონი სკოგსტადს შეხვდა. შეხვედრაზე, რომელიც ნორლაგში გაიმართა, ძირითადად ისაუბრეს ნორვეგიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის დაგეგმვისა და პროექტში ნორლაგის წარმომადგენელთა ჩართულობის საკითხებზე.

28 იანვარი 2010

შეხვედრა გერმანიის საელჩოში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნატო გუგავა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველს ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებში ქალბატონ სილვე კლიოვერს შეხვდა. შეხვედრაზე, რომელიც გერმანიის საელჩოში შედგა, ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის გზების შესახებ. ქალბატონმა სილვე კლიოვერმა მზადყოფნა გამოთქვა სასწავლო ცენტრთან ითანამშრომლოს შეხვედრაზე დასახული პრიორიტეტების ფარგლებში.

27 იანვარი 2010

ტრენინგი პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის

დაბა გუდაურში დასრულდა სამდღიანი ტრენინგი პრობაციის სააგენტოს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის. სასწავლო კურსს ადამიანური რესურსების მართვის ოპტიმიზაციის საკითხებზე პრობაციის ეროვნული სააგენტოს 21 და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 2 თანამშრომელი ესწრებოდა. ტრენინგს პროექტის ექსპერტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში ქალბატონი ირმა ოქროპირიძე უძღვებოდა.

მონაწილეები გაეცნენ თანამშრომელთა შერჩევის ეფექტური სისტემის შემუშავების, მათი შეფასების ობიექტური კრიტერიუმების დაწესების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისების საკითხებს, აგრეთვე საკადრო პოლიტიკის ზოგად ნაწილს.

ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობდა, რომელსაც ავსტრიული კომპანია Human Dynamics ახორციელებს.

ტრენინგის მონაწილეებს სერტიფიკატები სასწავლო ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა ნატო გუგავამ და პროექტის ხელმძღვანელმა ბატონმა ანტი რუოთსალაინენმა გადასცეს.

24 იანვარი 2010

შეხვედრა ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) ოფისში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნატო გუგავა და ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) დირექტორის მოადგილე ბატონი სიმონ პაპუაშვილი Lager des Heils -ის წარმომადგენლებს, ბატონ ბერტ სპროკერფესა და ქალბატონ ერიკა ბოსს შეხვდნენ. შეხვედრა ციხის საერთაშორისო რეფორმის ოფისში გაიმართა. მხარეებმა სამომავლო პარტნიორული თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს. ქალბატონმა ნატო გუგავამ მზადყოფნა გამოთქვა ციხის საერთაშორისო რეფორმასთან ერთად პარტნიორული თანამშრომლობის ფარგლებში ლაგერ დეს ჰაილსთან ითანამშრომლოს.

თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებად სასჯელადსრულების სისტემის სოციალური სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ჰოლანდიის ანალოგიურ სასწავლო ცენტრთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება განისაზღვრა.

19 იანვარი 2010
